

ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები -

საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

ნინო ხუციშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ გურჩიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ხუციშვილი

30.06.2019

აბსტრაქტი

ქალთა მიმართ ძალადობა, მათ შორის, სქესის საფუძველზე ოჯახში ძალადობა ადამიანის უფლებების დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ფორმაა. ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისათვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას, რომელთაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა. მოძალადეს არ უნდა გააჩნდეს დაუსჯელობის სინდრომი. მან უნდა გაიაზროს მისი დანაშაულებრივი ქმედების არსი, რათა უდანაშაულობის განცდამ არ გამოიწვიოს მისი გაძლიერება. ძალადობა გავლენას ახდენს ოჯახის წევრების ურთიერთობაზე და ხშირად ერთი წევრის არაჯანსაღი სურვილის დაკმაყოფილების ხარჯზე ზღუდავს მეორე წევრის უფლებებს.

ქალთა ძალადობა ნებისმიერ საზოგადოებაში გვხვდება. მასზე გადამწყვეტ როლს ვერ ახდენს კულტურა, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა. ნებისმიერი სახელმწიფო ვალდებულია განახორციელოს მოქმედებები გენდერული პოლიტიკის განხორციელების მხრივ თითოეულ სფეროში, რათა შეიქმნას თანაბარი შესაძლებლობები ქალებისთვისა და მამაკაცებისთვის. მნიშვნელოვანია მათ გააჩნდეთ თანასწორობის შეგრძნება, რაც განმტკიცებული უნდა იყოს კანონმდებლობით. ეს ყოველივე კი საზოგადოებაში მათი სტატუსის გათანაბრებას შეუწყობს ხელს, რაც თავის მხრივ იმოქმედებს ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების შემცირებაზე.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტების მიმოხილვა, საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ჭრილში. მნიშვნელოვანია კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ისეთ მნიშვნელოვან კონვენციასთან, როგორც არის სტამბოლის

კონვენცია და სხვა კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც ქვემოთ იქნება განხილული. მოყვანილია სასამართლო პრაქტიკის მაგალითები და ის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც საქართველოში განხორციელდა ბოლო წლების განმავლობაში. ნაშრომის მიხედვით დავინახავთ, რომ აღნიშნული ცვლილებები არ არის საკმარისი პრობლემის გადასაჭრელად და კიდევ გრძელი გზა აქვს გასავლელი საქართველოს ისეთი მძიმე შემთხვევების პრევენციისთვის, რომლებიც უახლოეს წარსულში დაფიქსირდა და რომელთა განხილვასაც გთავაზობთ განხილვის დასასრულს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ქალთა მიმართ ძალადობა, საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა, მსვერპლი, მოძალადე.

Abstract

Violence against women, including gender-based violence, is one of the most severe forms of human rights violations. Violence against women unites all actions that characterize gender-based violence against women in society in general or in interpersonal relations, as a result, it can cause physical, psychological or sexual suffering or economic damage to women, counting the threat of committing such acts, coercion of women or their arbitrary deprivation of liberty. Violators should not have a syndrome of impunity, they must understand the nature of their criminal acts, in order to avoid the strengthening of the feeling of innocence. Violence affects on the relationship between the family members and most frequently due to satisfying unhealthy desires of one member, the rights of another member is restricted.

Women's violence is found in any society. It cannot be influenced by cultural, economic and social factors. Every country is obliged to carry out actions to implement gender policy in each field, to create equal opportunities for women and men. Most importantly, they should have the feeling of equality and it should be grounded by the legislation. Following aspects will assist them to align their status in society, which in turn will effect on reduction of violence against women.

The purpose of this paper is to review the legal aspects of combating violence against women, based on international and national legislation and practice. It is important to harmonize the legislation with such an important convention as it is the Istanbul Convention and other subordinate legislative acts, which will be discussed below. Examples of court practice and the legislative amendments that have been implemented in Georgia in recent years are provided in the paper. According to the study, we can find out that these changes are not enough to solve the problem and there is still a lot to do in Georgia to prevent such grave cases, which happened in the recent years. At the end of the thesis, the following cases will be discussed.

Keywords: Violence against women, international and national legislation and practice, victim, violator.